



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ15.15221583

თარიღი:07/06/2022

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე, 39-ე მე-40 და 41-ე მუხლებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს დახურული კონკურსი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ პოზიციებზე:

N	საკონკურსო თანამდებობა	რაოდენობა
1	მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში	1
2	ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, კონკურსის გამოცხადება და ჩატარება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

